ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1574438

ნომერი: AR1259106

თარიღი : 24.10.2014

გაცემის თარიღი : 03.11.2014

გაცნობის თარიღი : 03.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , კორპუსი 47 , მიმდებარედ , ნაკვეთი 06/061 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ლალიაშვილი პ/ნ 01025005491
- პეტრიწის 8 ბ

ორგანიზაცია:

- შპს მწვანე სახლი კოდი: 404997740

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1281396
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 9.06.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ამირან კინწურაშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს „მწვანე სახლი„
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404997740

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს „მწვანე სახლი„
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404997740
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაშა ლალიასვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01025005491

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 633.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 439.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2396.41
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1275.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 462.26
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 212.5
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 376.65
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 70.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 30.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 23.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 7.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7025.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 2518.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4507.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 277(0.4)
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1488.5(2.4)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 67(0.1)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

1. შესაბამის ველში საჭიროა ატვირთოთ მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმა;

2. სატიტულო ინფორმაცია. -> .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მიუთითეთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მითითებული ფუნქციის შესაბამისად - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი სპორტული დარბაზით;

3. დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გვარი მიუთითეთ სამეწარმე რეესტრის ამონაწერის შესაბამისად;

4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი;
.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: ტოპოგრაფიულ რუკაზე საჭიროა დაიტანოთ მაღალი ძაბვის შემაერთებელი საკაბელო

ქსელი;

5. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ);
.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ზევით (მ);
.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: მიუთითეთ პროექტის შესაბამისად;

6. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი;
.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი;
.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: ავტოფარეხის სართულზე საჭიროა დაიტანოთ ტამბურის კარები; ჭრილებზე ლიფტის შახტის ნაწილში გადახურვის ფილები არ უნდა იყოს ჭრაში, 2-2 ჭრილი მოსაყვანია გეგმებთან შესაბამისობაში; წარმოადგინეთ ასევე ღია ავტოსადგომის მოძრაობის სქემა; წარმოადგინეთ მიწისპირა სართულის განშლა; დაიტანეთ არსებული და საპროექტო გრუნტის ხაზი; "გ-ა" ღერძებში განთავსებული აივნებითა და ღიობებით ირღვევა სამეზობლო მიჯნა, საჭიროა წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრ(ებ)ის შესაბამისად დამოწმებული თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ან პროექტი მოიყვანოთ დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში. სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში შენობაზე შესაძლებელია მოეწყოს კარი, ფანჯარა, სამტრედე და კედელში არსებულისხვა ღია ნაწილი, ასევე აივანი და ერკერი თუ შენობის საანგარიშო ზედაპირი (რომელზეც ასეთი ნაწილები არის განლაგებული) სამეზობლო საზღვრის შვეულ წარმოსახვით სიბრტყესთან ქმნის 75 გრადუსიდან 90 გრადუსამდე კუთხეს და სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია არანაკლებ 0.6 მეტრით. დაიტანეთ მანძილები საკადასტრო საზღვრიდან აივნებამდე. ასევე აივნის კიდიდან სამეზობლო საზღვრამდე მანძილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1.80 მეტრისა, ან წარმოადგინეთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა;

7. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: წარმოდგენილი მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა არასწორია; გაითვალისწინეთ, რომ სქემა უნდა ააგოთ 4-1 და 1-4 ღერძებთან მოსაზღვრე ორივე საზოგადოებრივი სივრცის ღერძულა ხაზის მართობიდან;

8. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : აღნიშნულ გრაფაში საჭიროა ატვირთოთ შესწორებული არქიტექტურული ნაწილის ვექტორული ფაილი, რომელშიც ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას საპროექტო განაშენიანების ფართის და კოეფიციენტების (კ1, კ2 და კ3) საანგარიშო კონტურები - ,,კროკები", ფართების მითითებით; (აღნიშნულის არ წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ ვერ ხერხდება თქვენს მიერ მითითებული კოეფიციენტების პროექტთან შესაბამისობის გადამოწმება);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად განიხილოს პროექტი და გაცნობოთ ყველა შესაძლო ხარვეზი;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.